ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2025
U12 (IX, X, XI, XII კლასები)
27 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთი სამეცნიერო დეპარტამენტის შენობაში 1901 წელს დაბადებული ადამიანის სურათის ნაცვლად შეცდომით დაკიდეს ამ პერსონაჟის ფოტო. ამ პერსონაჟის შესახებ შექმნილი ერთი მიმი დასათაურებული იყო წარწერით "არასდროს გააბრაზო შენი ქიმიის მასწავლებელი". დაასახელეთ ეს პერსონაჟი.

პასუხი: ვოლტერ უაითი
ჩათვლა: ჰაიზენბერგი
კომენტარი: ერთი წყაროს თანახმად, სამეცნიერო დეპარტამენტში ფიზიკოს ვერნერ ჰაიზენბერგის სურათის ნაცვლად შეცდომით დაკიდეს სერიალ "მძიმე დანაშაულის" მთავარი პერსონაჟის, ჰაიზენბერგის ფოტო. ვოლტერ უაითი, იგივე ჰაიზენბერგი, ქიმიის მასწავლებელია, რომელიც კრიმინალურ გზას დაადგა.
წყარო: ბმული ბმული

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ჯორჯ ორუელის წიგნში "1984" მთავარი პერსონაჟი ავტორიტარული სისტემის წინააღმდეგ უიმედოდ იბრძვის, რადგან სისტემა მხოლოდ უსახო ბიუროკრატიის გზით მოქმედებს. ერთ სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ორუელისთვის ერთ-ერთი შთაგონების წყარო იყო როსი. წინა წინადადების ერთ სიტყვაში ჩვენ სამი ასო გამოვტოვეთ. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: პროცესი
კომენტარი: ორუელის წიგნის მსგავსად, "პროცესის" პერსონაჟიც მარტო აღმოჩნდება ავტორიტარული, ბიუროკრატიული სისტემის წინააღმდეგ. მოსაზრების თანახმად, ორუელის ერთ-ერთი შთაგონების წყარო სწორედ "პროცესი" იყო.
წყარო: ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ვიდეოთამაშში "ვიტჩერ 3" პერსონაჟი იხსენებს პრინცესა ცენდრილას ისტორიას, რომელიც გვიან ღამით სასახლეში ყოფნისას ურჩხულმა გადაყლაპა. ადგილზე მისულმა სამეფო ოჯახის წარმომადგენლებმა მხოლოდ პრინცესას იქსიღა იპოვეს. ეს ისტორია ცნობილი ნაწარმოების შინაარსის გადათამაშებაა. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით.

პასუხი: ფეხსაცმელი
ჩათვლა: ქოში, სინონიმური სიტყვები
კომენტარი: პრინცესას ისტორიით დრამატულად არის გადათამაშებული ზღაპარი კონკიას შესახებ, რომელსაც გვიან ღამით სასახლიდან გაქცევა მოუხდა და პრინცმა მხოლოდ მისი ქოში იპოვა.

სახელი ცენდრილა კი ალუზიას წარმოადგენს სიტყვაზე Cinderella (სინდერელა), რაც ინგლისურ ენაში კონკიას შეესაბამება.
წყარო: ბმული ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა
ვაგრძელებთ! იქსით შეცვლილია ოთხასოიანი სიტყვა.
ფენტეზის ჟანრის ერთ ნაწარმოებში პერსონაჟი შეხვდება იქსებს, რომელთაგან ერთ-ერთს ქრონიკული ძილის სინდრომი აწუხებს. სიმბოლურია, რომ შეხვედრისას იქსების ჯამური რაოდენობა არის… რამდენი?

პასუხი: 7
კომენტარი: ამ შეკითხვით გავაგრძელეთ ზღაპრების თემატიკა. პერსონაჟი ხვდება ჯუჯებს, რომელთაგან ერთ-ერთს ქრონიკული ძილიანობა აწუხებს, რაც ალუზიაა ჯუჯა მძინარაზე "ფიფქიადან". ამ ნაწარმოების პერსონაჟიც ზუსტად შვიდ ჯუჯას ხვდება.
წყარო: ბმული ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
იქსის იდეის ავტორის ჩანაფიქრით, იქსი უნდა ყოფილიყო ფეხბურთის ნაკლებად სახიფათო ალტერნატივა, რომელსაც ათლეტები ზამთარშიც უპრობლემოდ ითამაშებდნენ. ერთ ცნობილ ფოტოზე იდეის ავტორს ხელში უჭირავს მრგვალი სათავსო, რომელსაც ძირი მოჭრილი აქვს. დაასახელეთ იქსი ათასოიანი სიტყვით.

პასუხი: კალათბურთი
კომენტარი: ფეხბურთის თამაშის დროს ხშირია მძიმე ტრავმები, ხოლო რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო კი ზოგჯერ თამაშების გადადებაც ხდება საჭირო. ჯეიმს ნეისმიტმა მოიფიქრა სპორტი, რომელსაც დახურულ დარბაზში წლის ნებისმიერ დროს მეტნაკლებად უსაფრთხოდ ითამაშებდნენ. ცნობილ ფოტოზე ნეისმიტს უჭირავს კალათბურთის კალათის პირველი ვერსია.
წყარო: ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთი სერიალის პერსონაჟი, რომელიც ბევრ ცნობილ ადამიანთან მეგობრობს, აღნიშნავს, რომ მის ტელეფონზე რიცხვ 23-ის აკრეფით იქსთან დაირეკება. იქსს ზოგჯერ მოიხსენიებენ, როგორც "ბეჭდების მბრძანებელს". დაასახელეთ 1963 წელს დაბადებული ადამიანი, რომელიც იქსით შევცვალეთ.

პასუხი: მაიკლ ჯორდანი
კომენტარი: პერსონაჟს ბევრი ცნობილი ადამიანის ტელეფონის ნომერი აქვს დაყენებული ე.წ. Speed dial-ზე. მაგალითად, 23-ის აკრეფით მისი ტელეფონი დარეკავს მაიკლ ჯორდანთან, რაც სიმბოლურია, რადგან ჯორდანი 23-ნომრიანი მაისურით ასპარეზობდა. მაიკლ ჯორდანს კალათბურთში გასაოცარი სტატისტიკა აქვს და NBA-ის ექვსი საჩემპიონო ბეჭდის მფლობელია, რის გამოც ბეჭდების მბრძანებელსაც უწოდებენ.
წყარო: ბმული ბმული

7. 5-ქულიანი შეკითხვა

გავრცელებული ვერსიით, 1883 წელს დაბადებულმა მწერალმა “იქსი” შეარჩია იმ მიზნით, რომ პერსონაჟი საკუთარ თავთან გაეიგივებინა. თუმცა, ერთი სტატიის ავტორმა გამოიკვლია, რომ პირადი წერილების ბოლოში მწერალი თითქმის არასდროს იყენებდა მხოლოდ იქსს. არ გთხოვთ იქსის დასახელებას. დაასახელეთ ეს მწერალი.

პასუხი: ფრანც კაფკა
კომენტარი: იქსით შეცვლილი იყო “კ”. პოპულარული ვერსიის თანახმად, კაფკას “პროცესის” პერსონაჟს იოზეფ კ. ჰქვია იმიტომ, რომ “კ” მწერლის გვარის პირველი ასოა. თუმცა, გაირკვა, რომ კაფკას არ ახასიათებდა წერილზე ხელის მოწერისას მხოლოდ “კ” ასოს დაწერა და მთლიან გვარს იყენებდა. წერილის ბოლოში, როგორც წესი, ხელმოწერის ადგილია.
წყარო: ბმული

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]
გადმოცემის თანახმად, სალვადორ დალის სიცოცხლის ბოლო წლებში ხატვა უჭირდა. შემოსავლის მისაღებად, მწერალი აკეთებდა ამას და ყიდდა ფურცელს. ზოგი ადამიანი ამის გაკეთების ნაცვლად იყენებს უბრალოდ X-ს. გააკეთეთ ეს პასუხის ფურცელზე.

პასუხი: [ხელმოწერა]
ჩათვლა: ნებისმიერი ხელმოწერა
კომენტარი: ხანშიშესულ დალის ხატვა უჭირდა, თუმცა სუფთა ფურცელზე ხელს აწერდა და ყიდდა თავის ხელმოწერას. ხელმოწერის კონკრეტული სტილის არმქონე ადამიანები ზოგჯერ უბრალოდ “X” სიმბოლოს წერენ ფურცელზე. ამ შეკითხვით გავაგრძელეთ ხელმოწერის თემატიკა. ქულების მისაღებად პასუხის ფურცელზე ხელი უნდა მოგეწერათ.
წყარო: ბმული

9. 7-ქულიანი შეკითხვა
კვლევის თანახმად, ადამიანები უფრო მეტ დროს ატარებენ ჭამაში, თუ ჭამის პარალელურად ტელევიზორის ან ფილმის ყურებით ერთობიან. ამ ფაქტის კომენტირებისას ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ხუმრობით ახსენა ანტიკური ეპოქის ფრაზა იქსისა და იგრეკის შესახებ. დაასახელეთ იქსი და იგრეკი.

პასუხი: პური და სანახაობა
ჩათვლა: პური და ცირკი, ფრაზის სხვა აღიარებული თარგმანები
კომენტარი: კვლევის თანახმად, ჭამის დროს რამის ყურება გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს უფრო მეტი საჭმლის მიღებას და ყურებაში უფრო დიდი დროის გატარებას. ინტერნეტმომხმარებელმა იხუმრა, რომ საჭმელი და ტელევიზორი არის თანამედროვე ეპოქის პური და სანახაობა. “პური და სანახაობა” ძველრომაული მეტონიმური ფრაზაა.
წყარო: ბმული ბმული

10. 5-ქულიანი ეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

[redacted]ზეციით კურთხეულს!
[redacted]ქვეყნად სამოთხეს!
ტურფა ივერსა,
[redacted]ძმობას, ერთობას!
[redacted]თავისუფლებას!
[redacted]სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!
[redacted] ჩვენსა სამშობლოს!
[redacted]ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!
„ვაშა!“ ტრფობასა, სიყვარულს,
„ვაშა!“ შვებასა, სიხარულს,
„სალამი!“ ჭეშმარიტების,
შუქ — განთიადსა.

დარიგებულ ტექსტში ჩვენ რამდენჯერმე დავფარეთ ერთი და იგივე სიტყვა, რომელიც თავად ნაწარმოების სახელს ემთხვევა. ეს ნაწარმოები პირველად 1918-1921 წლებში გამოიყენებოდა, შემდეგ კი მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, სანამ სხვა ნაწარმოებით ჩაანაცვლებდნენ. დაწერეთ ექვსასოიანი სიტყვა, რომელიც დავფარეთ.

პასუხი: დიდება
კომენტარი: მასალაზე გამოსახული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი “დიდება”. დაფარული სიტყვაც ასევე “დიდება” გახლდათ. ამ ჰიმნს საქართველოს თანამედროვე ჰიმნის სტატუსიც ჰქონდა, სანამ 2004 წელს ჩანაცვლდებოდა ჰიმნით “თავისუფლება”. საინტერესოა, რომ სიტყვებს “დიდება თავისუფლებას” ამჟამინდელ ჰიმნშიც ვხვდებით.
წყარო: ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
ერთ ვიდეოთამაშში პერსონაჟს არ სჯერა, რომ ბომბის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი იყო იქსი. რეალურად, იქსის გოგირდმჟავასთან შერევა საკმაოდ აგრესიულ რეაქციას იწვევს. იქსის გარეშე დამზადებული “ჩუპა ჩუპსის” ერთ სარეკლამო პოსტერზე ჭიანჭველები გვერდს უვლიან ძირს დაგდებულ “ჩუპა ჩუპსს”. დაასახელეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: შაქარი
კომენტარი: პერსონაჟს დაუჯერებლად ეჩვენება, რომ ბომბის ერთ-ერთ კომპონენტად ისეთი უვნებელი პროდუქტი გამოიყენეს, როგორიც შაქარია. ბომბისთვის არ კმარა, თუმცა საინტერესოა, რომ გოგირდმჟავასთან შერეული შაქარი საკმაოდ აგრესიულ რეაქციას იწვევს. ჭიანჭველას შაქარი იზიდავს, ამიტომ უშაქრო კანფეტი ნაკლებად აინტერესებს.
წყარო: ბმული; ბმული

12. 7-ქულიანი შეკითხვა
საფრანგეთის რევოლუციამდე ქვეყანაში მოქმედებდა გადასახადი იქსზე. საინტერესოა, რომ ამ გადასახადმა ხალხი ჩხუბის ხასიათზე მოიყვანა და რევოლუციაც მალე მოხდა. ინგლისურ ენაში სიტყვა “Salary” (ხელფასი) მომდინარეობს იქსიდან. დაასახელეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: მარილი
კომენტარი: სიტყვები “ჩხუბის ხასიათზე მოიყვანა” დამატებითი მინიშნება იყო ცნობილ ცრურწმენაზე, რომლის თანახმადაც მარილის დაყრას ჩხუბი მოჰყვება. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში არსებული მარილის გადასახადი გააუქმეს. ძველ დროში მარილი იმდენად

მნიშვნელოვანი პროდუქტი იყო, რომ თანამედროვე ინგლისური სიტყვა “Salary” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან “Sal”, რაც მარილს ნიშნავს.
წყარო: ბმული ბმული

13. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]

ფარმაცევტულმა კომპანიამ, Johnson & Johnson-მა, უჩივლა 1863 წელს დაარსებულ ჰუმანიტარულ მოძრაობას კომპანიის მსგავსი სიმბოლიკის გამოყენების გამო. აღნიშნული ჰუმანიტარული მოძრაობა ისლამურ ქვეყნებში იყენებს ნახევარმთვარეს. დაასახელეთ ეს მოძრაობა ორი სიტყვით.

პასუხი: წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობა
ჩათვლა: წითელი ჯვარი
კომენტარი: მასალაზე შეგეძლოთ, შეგემჩნიათ ჯონსონ ენდ ჯონსონის წითელი ფერის ჯვარი, რომელიც ძალიან წააგავს შვეიცარიაში დაარსებული ჰუმანიტარული მოძრაობის, წითელი ჯვრის სიმბოლოს. წითელი ჯვარი ისლამურ ქვეყნებში სიმბოლოდ იყენებს არა ჯვარს, არამედ წითელ ნახევარმთვარეს.
წყარო: ბმული ბმული

14. 6-ქულიანი შეკითხვა
გირჩევთ, ჩაიწეროთ.
მანგოს ზოგჯერ მედიცინაში იყენებენ, რადგან დამამშვიდებელი ეფექტი აქვს, თუმცა ჰალუცინაციებსაც იწვევს. საინტერესოა, რომ “ჰარი პოტერის” წიგნების სერიაში გაქვავებული ადამიანების გამოსაცოცხლებლად მანგოს იყენებენ. ჩვენ ორჯერ გამოვტოვეთ რამდენიმე ასო ერთსა და იმავე სიტყვაში. აღადგინეთ სიტყვა თავდაპირველი ფორმით.

პასუხი: მანდრაგორას
ჩათვლა: მანდრაგორს
კომენტარი: ჯადოსნურ სამყაროში მანდრაგორას სამკურნალო დანიშნულება აქვს - მას იყენებენ ბასილისკოს მზერისგან გაშეშებული ადამიანების გამოსაცოცხლებლად. მანდრაგორა რეალურ მცენარეთა გვარია და მედიცინაში რეალურადაც გამოიყენება.
წყარო: ბმული ბმული

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ბოლო შეკითხვა. ამერიკელი საჭადრაკო ოსტატი ლევი როზმანი ერთ იუთუბ ვიდეოში აღნიშნავს, რომ საჭადრაკო პარტიის დასაფინიშებლად აუცილებელია იქსის კარგად ცოდნა. 2019 წლის ფილმში, რომლის სათაურშიც “იქსი” ფიგურირებს, დაიღუპა ტონი. არ გთხოვთ ტონის გვარის გამოცნობას. დაწერეთ იქსი.

პასუხი: Endgame

კომენტარი: ინგლისურ ენაზე საჭადრაკო პარტიის ფინალურ ეტაპს, ე.წ. ენდშპილს ეწოდება ენდგეიმი. სიტყვა “დაფინიშება” და ბოლო შეკითხვა მინიშნება იყო თამაშის დასასრულზე. “შურისმაძიებლების” ფილმში “შურისმაძიებლები: ენდგეიმი” დაიღუპა ტონი სტარკი.

წყარო: ბმული ბმული